საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლუკიანე

წმ. დავით გარეჯელი და ლუკიანე.

XVIII ს. მინიატიურა

ლუკიანე, VI ს. I ნახევრისა და შუა წლების ქართველი საეკლესიო მოღვაწე, დავით გარეჯელის უახლოესი მოწაფეთაგანი. ლ. დავითთან ერთად დასახლდა გარეჯის უდაბნოს ერთ-ერთი კლდის ნაპრალში. ბერები მინდვრის ნაყოფითა და ირმის რძით საზრდოობდნენ. ლ-ს მიერ ირმის მოწველის ეპიზოდი ფართოდ აისახა ქართულ იკონოგრაფიაში. მან დავით გარეჯელის მოთხოვნით დააარსა გარეჯის მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი. დაკრძალულია გარეჯში. მის შესახებ ცნობები დაცულია „დავით გარეჯელის ცხოვრების“ რედაქციებში.

ლიტ.: ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), ტ. 1, თბ., 1966.